...ადით!

# კომუნისტი

წელიწადი პირველი.

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო.

**რევოლუციონური კალენდარი.**

15 ივლისი
პარასკევი

1917. ჯარისკაცთა მთელ რიგ მიტინგებზე გამოიტანეს რეზოლიუციები მთელი ძალა უფლების საბჭოების ხელში გადასვლის შესახებ.
1872. კანონი განსაკუთრებულ სასამართლოების მოწყობაზე პოლიტიკური დანაშაულობათა საქმეების გასარჩევად.
1862. დ. პისარევის დატუსაღება.

**რედაქციის მისამართი:**
თბილისი, კრუზენშტეინის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა-უქმეებისა დილ. 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № საერთო №

**გაზეთის დაკვეთა**
და გაცემა სწარმოებს საქართველოს ცენტრალურ ბეჭდვითი განყოფილება-ში, რუსთაველის ქ., № 4,
ტელეფონი №

დროებით შეჩერებულია კომ... ბის და კანდიდატების მიღ...
მოსკოვის მთავრობამ გასცა ბრ... ბულისადმი რომ... 
...ნოს ივლისის განმავლობაში 100...
რუსეთის კონტრ-რევოლიუცი... რება ინგლისს დასჯდომია 57 მი... ლიონი.
ირლანდიაში გრძელდება ბრძო... ხისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 109 პარასკევი, 15 ივლისი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი პარასკევი, 15 ივლისი, 1921 წ.

## მშრომელი ხალხი შრომის ფრონტზე გასული! შრომის ფრონტზე გამარჯვება რევოლუციის საბოლოოდ გამარჯვებაა!
## შორს ჩვენგან საბოტაჟის მოციქულებო!

### ყველა წევრებს საქართველოს კომუნისტური პარტიის და პარტიულ კომიტეტებს.

ცირკულიარული.

ს. კ. პ. ც. კ. აცნობებს ყველა ამხანაგებს და პარტიულ კომიტეტებს, რომ ცენტრალურ კომიტეტთან დაარსებულია პარტიული საკონტროლო კომისია რომლის ამოცანებშიც შედის:

შეებრძოლოს კომუნისტური ეთიკის ყოველნაირი დანგრევას თითეულ ამხანაგის და პარტიულ კომიტეტის მხრით როგორც არის ბიუროკრატია, ბოროტად გამოყენება თავის მდგომარეობის და ხელისუფლების, დანაშაული პარტიის წინაშე, პარტიულ დისციპლინის დარღვევა, პარტიის შეურაცყოფა, ამხანაგების შეურაცყოფა, უწესო და მიკერძებული დადგენილება პარტიულ კომიტეტისა რომელიმე ცალკე ამხანაგზე და სხვა.

საკონტროლო კომისია არის სრულიად ავტონომიური ორგანო და თავის გადაწყვეტილებებში არაა დაკავშირებული ცენტრ. კომ. დადგენილებებთან.

პარტიის წევრებმა, კანდიდატებმა და პარტიულ კომიტეტებმა საჩივრები და განცხადებები უნდა გადმოგზავნონ ამ მისამართით: ტფილისი გოლოვინის პროსპექტი, № 22, ცენტრალურ საკონტროლო კომისიას.

მდივანი ც. კ. ს. კ. პ. მ. ორახელაშვილი.
ც. კ. საორგან-საინსტრ განყოფ. გამგე დონენკო.

### ყველა სამაზრო და რაიონულ კომიტეტებს საქართველოს კომუნისტური პარტიისა და პასუხისმგებელ ამხანაგებს.

ცირკულიარული.

ცენტრალური კომიტეტი კომუნისტური პარტიის აფრთხილებს კომუნისტური პარტიის ყველა კომიტეტებს, პასუხისმგებელ ამხანაგებს, ხელმძღვანელებს საბჭოთა დაწესებულებების, აუცილებელი შესასრულებლათ, რომ პარტიის არც ერთ წევრს არ შეუძლია გავიდეს რესპუბლიკის საზღვრებიდან, არც შვებულებაში, არც კომანდიროვკაში, არც საქმით, თუ არ გატარდა რეგისტრაციაში კომ. პარტიის ცეკაში.

ის ამხანაგები, რომლებიც მიდიან საქმით, უნდა ჰქონდეთ აღნიშნული მანდატში, რამდენი ხნით მიდიან, წინააღმდეგ შემთხვევაში კომანდიროვკა შვებულება ნებადართული არ იქნება. პარტიის კომიტეტები და პასუხისმგებელი ამხანაგები, რომლებიც დაარღვევენ ამ დებულებას, მიცემული იქნებიან პარტიულ სასამართლოში.

იაჩეიკას ბიუროებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ამ დადგენილების სისრულეში მოყვანას და თუ დარღვეული იქნება ის შეატყობინონ საქართველოს კომუნისტური საორგანიზაციო საინსტრუქციო განყოფილებას პარტიის ცენტრალური კომიტეტის.

მდივანი ცეკასი: ორახელაშვილი.
საორგანიზაციო განყოფილების გამგე: დ. დონენკო.

### შრომის დაცვის კომისიის კონფერენციის გაგრძელება.

...ი კომიტეტების, საქარხნო კომიტეტების და საფაბრიკო ...დ შესდგება კვირას 17 ივლისს დილის 10 საათზე, ...დოების საკონცერტო დარბაზში.

პრეზიდიუმი.

### საცნობლად.

ყველა პარტიულ კომიტეტებისა და პარტიის წევრთათვის.

ს. კ. პ. ც. კ. წინადადებას იძლევა ამა დებულების გამოცხადების მომენტიდან, ვიდრე ც. კ. განსაკუთრებულ განკარგულებამდე, დაუყოვნებლივ შეჩერებულ იქმნას მიღება პარტიის წევრებად და კანდიდატებად ყველასი განურჩევლად,—საქართველოს ს. ს. რ. ტერიტორიაზე. 1 ივლისის შემდეგ მიღებული განცხადებები პარტიაში მიღების შესახებ და ჯერ დაუმტკიცებელი სამაზრო და საქალაქო კომიტეტების მიერ, არ უნდა იქმნენ დამტკიცებულნი.

ც. კ.—ის სამდივნო ) მ ოკუჯავა. ) მ. ორახელაშვილი. ) ა. ნაზარეტიანი.

გამგე ც. კ—ის საორგანიზაციო საინსტრუქტორო განყოფილებისა ნ. დონენკო.

კვირას, 17 ივლისს დილის 10 საათზე არტისტიულ საზოგადოების საკონცერტო დარბაზში შესდგება შრომის დაცვის კომისიების და საქარხნო კომიტეტების

### კონფერენციის გაგრძელება

დღიური წესრიგი: 1) საავადმყოფო კასის გამგის მოხსენება, 2) კასის გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

შენიშვნა: თუ ათ საათზე არ შესდგა ქვორუმი, სხდომა გაიხსნება 11 საათზე და ჩაითვლება კანონიერად, მიუხედავად დამსწრეთა რიცხვის სიმცირისა.

შრომის სახ. კომისარიატის შრომის დაცვისა და სოციალური დაზღვევის განყოფილება.

### საქართველოს ახალგაზრდათა კომკავშირის ეკ. უფლებრივ განყოფილებათა გამგეობის თათბირი

საქართველოს ახალგაზრდათა კომკავშირის ცეკას პრეზიდიუმის დადგენილებით ამა წლის 11 ივლისის თარიღით, მოწვეულია 20 ივლისისთვის ყველა სამაზრო, თბილისის ქალაქის, ფოთის ქალაქის, ბათომის საოლქო კომიტეტების, ბორჯომის-ხაშურის, ტყიბულის, ჭიათურის და თბილისის 4 რაიონულ კომიტეტების ეკონომიურ უფლებრივ განყოფილების გამგეების თათბირი. დღის წესრიგში შემდეგი საკითხებია: 1) ცეკას ეკონომიურ უფლებრივ განყოფილების მოხსენება, 2) მოხსენებები ადგილებიდან, 3) მორიგი ამოცანები ეკ. უფლებრივ მუშაობისა.

ცეკა წინადადებას აძლევს ყველა აღნიშნულ განყოფილებების გამგეებს რათა მოვიდნენ აღნიშნულ დროისთვის და წამოიღონ თან დაწვრილებითი მოხსენებანი (წერილობითი) მუშათა ახალგაზრდობის მდგომარეობის შესახებ და მუშაობის პირობების შესახებ.

ცეკას მდივანი ძნელაძე.
ეკ. უფლებ. განყ. გამგე დევდარიანი.

### საბოტაჟის მოციქულები.

მუშურ-გლეხურ მთავრობას ხელში შერჩა საქართველო აფორიაქებული, გაცარცული და უფსკრულის კიდემდე მისული. მენშევიკების სამი წლის ბატონობამ განადგურებამდის მიიყვანა საწარმოო ძალები, გზა გადუღობა ქვეყნის განვითარებას და მის სამეურნეო წინსვლას. ბათუმისკენ უკან დახევის დროს ჟორდანია-რამიშვილის მთავრობამ ნანგრევებად აქცია რკინის გზების ხაზი; სადგურების ოსტატურ გაცარცვას მრავალი ხიდის აფეთქება დაუმატა და ასე საფრთხეში ჩააგდო მშრომელი ხალხი როგორც ქალაქად ისე სოფლად. მხოლოდ რევოლუციური აღტყინებით ზეატაცებულმა მუშამ და წითელ არმიელმა შესძლეს სასწრაფოდ აღდგენა მიმოსვლის და ქალაქ-სოფლს შუა დაწყვეტილი შემაერთებელი ძაფების ხელახლა გაბმა და მით ქვეყნის სამეურნეო ძალღონის რამდენიმეთ მაინც გამაგრება. ქვეყნის საწარმოო ძალების აღდგენის და მეურნეობის მოლონიერება ხომ რევოლიუციის საფუძვლის გამაგრებაა, ეს ხომ გადატრიალების მკვიდრ და ურყევ საფუძველზე დამყარებაა. ამას ვერ შეურიგდენ მუშურ-გლეხური ძალაუფლების მოსისხლე მტრები მენშევიკების მეთაურობით. ჯერ კიდევ ბათუმში ბანაკობის დროს, როცა ჟორდანიას მთავრობა სამშვიდობო დელეგაციას უგზავნიდა საქართველოს რევოლიუციურ მთავრობას და იმავე დროს გეგმებს ტვირთ ვდა საქართველოს მშრომელი ხალხის სიმდიდრით, მენშევიკური პარტიის ცენტრალური ორგანო „ერთობა“-მ გადაისროლა თავის მრევლში ლოზუნგი: დაბრუნდით უკან, ყოველი ღონე იხმარეთ მნიშვნელოვან ადგილების დასაკავებლად, და შიგნიდან ააფეთქეთ საბჭოთა წყობილებაო! მრევლმა ისმინა თავისი კონტრ-რევოლიუციონური შტაბის მოწოდება, ფართოთ ისარგებლა მუშურ გლეხური მთავრობის სულგრძელ და კეთილშობილური გრძნობით ნაკარნახევ ამნისტიით, შემოესია საქართველოს, მოიკალათა სამეურნეო ცხოვრების მგრძნობიარე ძარღვებთან და შეუდგა ჯერ ფარულ მუშაობას, ბოლოს კი თავხედური გამოსვლებიც კი გააჩაღა.

საბოტაჟი და არევ დარევა—აი რა დაისახეს მიზნათ მენშევიკებმა საბჭოთა წყობილების დასანგრევად, ხოლო თავის შავბნელ განზრახვების უახლოეს საგნად—რკინის გზები, ეს სასიცოცხლო ძარღვები ქვეყნის მეურნეობის და ხალხის ფართო მასსების კეთილდღეობის. მათ მიერვე სასურსათო კრიზისის ნიადაგზე მათ იწყეს თესვა შხამიანი თესლის, მათ მიერვე მოტყუებულ და გაბრუებულ მუშათა ცალკე ჯგუფებში მათ იწყეს ქადაგება ჩუმი (ჯერჯერობით ჩუმი) კონტრრევოლიუციის, საბოტაჟის და წარმოების შეჩერების. უნდა აღვიაროთ, რომ ჩვენი ლმობიერებით მათ ჩინებულათ ისარგებლეს, ჩვენ მიერ მინიჭებული თავისუფლება ძირიანათ ამოწურეს და უბოროტესად გამოიყენეს. როცა საბჭოთა აზერბეიჯანი ძმურად გვიწვდის ხელს და აურაცხელად გვიგზავნის ნავთს, მაზუთს, ბენზინს და სხ.,—ხშირად ჩვენს რკინის გზებს და საწარმოო დაწესებულებებს ყველა ეს საგნები არ გააჩნიათ, ვინაიდან ცისტერნები სადგურ სალოღლიდან თბილისამდე ერთ კვირაზეც ვერ აღწევენ. როცა ჩვენს სასურსათო საგარეო ვაჭრობის კომისარიატებს ფქვილი და სხვა სურსათი აქვთ დაგროვილი ბათუმსა თუ სხვა სადგურებზე—სურსათის დროზე მიწოდება ქალაქის და სოფლის მშრომელთათვის შეუძლებელი ხდება.

საბოტაჟის აჩრდილი ატუზულა აქა იქ, მენშევიზმის მავნე ხელი ჩუმათ დახარხარებს ურმის სისწრაფით მრავალ ვაგონებს და მით მშრომელი ხალხის გაჭირვებას. ასეთი მდგომარეობა აუტანელია, მისი მოთმენა დანაშაულობაა შრომელთა და მათი რევოლიუციის წინაშე; შეუნდობელი დანაშაულობაა ჩვენს მოძმე და ჩვენი დამხმარე საბჭოთა რესპუბლიკების წინაშეც, რომლებიც არაფერს ზოგავენ, რომ საქართველოს მშრომელთ დაეხმარონ რითაც კი შეუძლიათ. საბოტაჟის მსხვერპლად ვერ გავხდით საქართველოს მუშა-გლეხის კეთილდღეობას, საბჭოთა რესპუბლიკების საერთო სისხლით[...] საქმეს. საბოტაჟის მოციქულებს [...] შევწირავთ და არც შევწირავთ[...]

### მთლიანი მუშათა კოო[...]

ამა თუ იმ ეკონომიურ დაწესებ[...] ლების ორგანიზაციის და სტრუქტუ[...] რის გეგმის განსაზღვრის დროს საჭირო სისწორით გავითვალისწინოთ საზოგადო სოციალურ - ეკონომიური მდგომარეობა, რადგანაც მხოლოდ საზოგადო მდგომარეობის მხედველობაში მიღების შემდეგ შესაძლებელია საქმიანობის გეგმის სწორად მოხაზვა.

ჩვენ ეხლა ვიმყოფებით კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შუა გარდამავალ საფეხურზე. კაპიტალიზმი იხრწნება. ის სახელმწიფო, რომელიც თავის კეთილდღეობას ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ ურთიერთობებზე აგებს—სასიკვდილოდ არის განწირული. კერძო კაპიტალი, რომელიც მაგრდება და იზრდება მხოლოდ დიდ სპეკულიაციის შემწეობით და მრეწველობის განვითარების მხრით ჩამორჩენილ ქვეყნების ექსპლოატაციის წყალობით, სრულიადაც არ არის დაინტერესებული შექმნას და განავითაროს მათი საწარმოვო ძალები.

ეკონომიურათ ისე ჩამორჩენილ ქვეყნებში, როგორც მაგ. საქართველო, ბურჟუაზიას მხოლოდ მტაცებლურ ეკონომიურ პოლიტიკის წარმოება შეუძლიან, და მხოლოდ პროლეტარიატი და მისი ეკონომიური პოლიტიკა იწვევს ქვეყნის საწარმოო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# [სა]ქართველოსათვის

...კომისა- ...ამხ. სტუ- ...ლიარი მავ- ...სასურსა- ...შვილს: ...მიერ ხელმო- ...გა- ...სახალ- ...რწმუნებულს ... საქართველოს მდგომარეობას, ...ძლევათ გაგ- ... განმავლობაში ...სასურსათო ... 100 ათა- ... და ასრულე- № 60210 7 ივ...

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ლენინი.

სასურსათო კომისარის მოადგილე ბრიუხანოვი".

ამ დეპეშის ძალით ამხ. კოგანოვიჩმა უნდა შეასრულოს აღნიშნული მოთხოვნა. აუცილებელია დაუყოვნებლივ გაგზავნილ იქნეს როსტოვში რამოდენიმე ამხანაგი რწმუნებულის მეთაურობით და ეთხოვოს კოგანოვიჩს, რომ მან უჩვენოს, პუნქტები, თუ საიდან უნდა იქნეს პური წამოღებული.

შემდეგ მე ვაწარმოებ სასურსათო კომისარიატთან მოლაპარაკებას ფართლეულობის, ფეხსაცმელის, შაქრის და საპონის მოცემის შესახებ".

...მუშათა ...ტის [illegible]

ველ საჭიროების საგნებს თითქმის თვით ღირებულების ფასით, რადგანაც გლეხი აღარ მისცემს ხარკს მყიდველებისა და გადამყიდველების მთელ ჯგუფს, რომელთა ხელით ეს საქონელი შემოდის საფუძველში. მუშათა კოოპერატივის შექმნა აგრეთვე იმიტომაც არის საჭირო, რომ ეხლა ჩვენში შემოღებული ნატურით დაჯილდოება მხოლოთ მაშინ გამოიღებს დადებით შედეგებს მუშებისათვის, თუ მათ მიერ მიღებული ნატურ-პრემია გადაეცემა მუშათა კოოპერატივს სოფლის მეურნეობის ნაწარმოებზე უშუალოთ გადასაცვლელათ. ყოველივე მუშისათვის კი ცალკე ჯილდოს მიცემა მიზანს რასაკვირველია ვერ მიაღწევს, რადგანაც თავისი პრემიის ცალკე რეალიზაციის დროს მუშა ყოველ კერძო შემთხვევაში იზარალებს მისი კუთვნილების ნაწილს, რადგანაც მას საქმე ექნება წვრილ ვაჭართან და გამყიდველთან.

ამგვარათ, რა თვალსაზრისითაც არ უნდა მივუდგეთ მთლიან მუშათა კოოპერატივის საკითხს—მისი მოწყობისა და შექმნის საჭიროება იმდენათ ცხადია, რომ თბილისის პროლეტარიატმა მთელი თავისი ენერგიით უნდა მიმართოს ამ მიზნის განხორციელების მხრივ.

ერქომაიშვილი.

ბულ იქნას რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს გერმანიის კომპარტიის ც. კ.-გან, ყოფილი ოპოზიციისადმი მეტი ყურადღებითი დამოკიდებულება, მაგრამ ერთდროულად კონგრესი მოითხოვს ყოფილი ოპოზიციისაგან თავისი ორგანიზაციის დაუყონებლივ დათხოვნას და კონგრესის დადგენილებისათვის უსიტყვო დამორჩილებას, კომინტერნის აღმ. კომიტეტი დაკვირვებით ადევნებდეს იქნება თვალყურს კომუნისტურ მოძრაობას გერმანიაში. გერმანიის გაერთიანებული კომუნისტური პარტიის ოპოზიციის სახელით მალცანი აცხადებს, რომ კონგრესის მიერ მიღებული ყველა თეზისები ტაქტიკის შესახებ უთუოდ იქნება ასრულებული და რომ ოპოზიცია ღრმად დაინტერესებულია კომუნისტური პარტიის მთლიანობის დაცვაში. რეზოლუცია გერმანიის პარტიის ერთობის შესახებ კონგრესის მიერ ერთხმად იქნა მიღებული.

**მუშური კოოპერაცია.**

კოოპერაციის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. მეშერიაკოვი, რომელმაც განაცხადა: „თუ ჩვენ მივაღწიეთ პროლეტარიატის გაერთიანებას პოლიტიკურ პარტიებში და პროფკავშირებში, სამაგიეროდ კოოპერაციის დარგში ჯერ არაფერი არ გაკეთებულა. ყველა ქვეყნის რევოლიუციონერები ჩვეულებრივ განზე იდგნენ კოოპერაციისაგან, სამეურნეო მშვიდობიან მუშაობისაგან. მთელი მოძღვრება კოოპერაციაზე თავიდან-ბოლომდე უნდა იქმნეს გადახალისებული. კოოპერაციამ პოლიტიკას უნდა მოჰკიდოს ხელი და უნდა გააერთიანოს მთელი მშრომელი კლასი. და თუ უწინ კოოპერაცია ეგუებოდა ბურჟუაზიულ საზოგადოებას იმ ბოროტების თუ გინდ ნაწილობრივ შესასუსტებლად, რომელიც მოქონდა კაპიტალიზმს, ეხლა იგი უნდა იქცეს კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის იარაღად. ამხ მეშერიაკოვის თეზისებს კონგრესი ერთხმად ღებულობს.

## საერთაშორისო კონგრესი წითელი პროფკავშირ.

**წითელი კომინტერნი და პროფინტერნი.**

მოსკოვი. წითელი პროფკავშირების კონგრესის სხდომაზე 9 ივლისს წაკითხული იყო მოხსენება შესახებ წითელი პროფ-ინტერნის და წითელი კომინტერნის საურთიერთო დამოკიდებულების შესახებ.

მესამე ინტერნაციონალს თავიდანვე აზრათ ქონდა, რომ მასში ჩარიცხულიყო, როგორც პოლიტ. პარტიები, ისე მუშათა ორგანიზაციები. თვით პროფ-ორგანიზაციებმა, როგორც, მაგალითად, იტალიელმა „უნიონე სინდიკალემ" და ესპანიურმა შრომის კონფედერაციამ სურვილი განაცხადეს მე 3 ინტერნაციონალთან შეერთებისა. ომის შემდეგ საფრანგეთის პარტიულ - რევოლიუციონურ ელემენტებისა და სინდიკალისტების შორის ერთობ მჭიდრო დაახლოვება მოხდა. საფრანგეთის სინდიკალისტების რეზოლიუცია [illegible], რომ [illegible] რი ინტერნაციონალი არის [illegible] ტერნაციონალი. საკითხი პროფ ინტერნის და კომ ინტერნის დაახლოვებისა არის ფორმალური ხასიათისა. საჭიროა გადაწყდეს საკითხი რევოლიუციონურ ძალთა გაერთიანებისა.

**ნორვეგიის დელეგატები.**

კონგრესის სხდომის დროს შემოვიდენ ნორვეგიის დელეგატები, რომელთაც შეხვდენ მხურვალე ტაშის ქვრით.

**პროფ ინტერნის მიზანი--კაპიტალიზმის საფუძვლების დანგრევა.**

ტომას მანი (ინგლისი) თავის მოხსენებაში ამბობს,—მიზანი წითელი ინტერნაციონალის პროფ კავშირებისა იმაში მდგომარეობს, რომ დაარღვიოს საფუძველი კაპიტალისტურ სახელმწიფოსია: ამაშია კავშირი კომინტერნისა და გაერთიანებულ რევოლიუციონურ მთელი ქვეყნების მუშებისა. ჩვენი რევოლიუციონური ლაშქარი იზრდება, მისი ძალ ღონე ძლიერდება და კლასობრივი თვითშეგნება ფხიზლდება.

ჩვენი მუშაობა ფართო მაშტაბით დიდდება და მოითხოვს ყველას მონაწილეობას, ვისშიაც კი სცემს პროლეტარული გული, ვისაც უყვარს პროლეტარული სული და ვისაც აზრები ეთანხმებიან დიად იდეის მუშათა კლასის კაპიტალის უღლიდან განთავისუფლებისას.

მანის მოხსენების შემდეგ კამათში მონაწილეობა მიიღეს იაპონეთის, პოლონეთის და რუსეთის წითელი პროფკავშირების წარმომადგენლებმა.

## [კომინტე]რნის მესამე კონგრესი

...მუშაობა. ...ისი. (რადიო), ... ამხ. რადეკმა ... კომისიის შეხე- ... -სლოვაკეთის მუ- ... გამოსვლებში გა- ... რევოლიუციონური ... იმისა, რომ ... პროლეტარიატს ... ტენდენციები, ... კომინტერ-

ნის აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებებით. გერმანიის პროლეტარიატის მარტის გამოსვლის შესახებ კომისია სცნობს, რომ ეს იყო წინ გადადგმული დიდი ნაბიჯი გერმანიის მუშათა კლასის რევოლიუციონურ მოძრაობაში.

**გერმანიის კომუნისტური პარტია მთლიანია.**

ამხ. ზინოვიევი რუს დელეგაციის სახელით წინადადებას იძლევა მიღე-

## წითელ რესპუბლიკებში.

### რუსეთი.

**პასუხისმგებელ პარტიულ მუშაკთა აღწერა.**

მოსკოვი,26 ივნისი. ივლისში დანიშნულია სრულიად რუსეთის პასუხისმგებელ პარტიულ მუშაკთა აღწერა. ეს აღწერა უნდა დასრულდეს სამი დღის განმავლობაში, რომელშიდაც შევა დაახლოვებით 30,000 32,000 მუშაკი. ამას გარდა განზრახულია, მოხდეს იმ პარტიის წევრთა აღნიშვნაზე აყვანა, რომელნიც პარტიაში ირიცხებოდნენ 1917 წ. მარტის და ოქტომბრის რევოლიუციამდე. შემოდგომისათვის მზადდება პარტიის წევრთა საერთო აღწერა.

**სასკოლო საქმე მოსკოვში და მოსკოვის გუბერნიაში.**

მოსკოვი. 12 ივლისი. (რადიო). მოსკოვში არის პირველი საფეხურის 415 სკოლა, 84.000 მოსწავლე და 2150 მასწავლებელი; 28 მეორე საფეხურის სკოლა, სადაც იმყოფებოდა 383 მასწავლებელი. საბავშო სახლები არის 199, საზამთრო ახალშენები 191, სანატორიული ტყის სკოლები 34. გუბერნიაში პირველი საფეხურის სკოლები არის 2.220, სადაც იმყოფება 193.400 მოსწავლე, მასწავლებლები 5.780; მეორე ხარისხის სკოლებია 111, სადაც არის 12,130 მოსწ. და 500 მასწავლებელი.

**მანქანები საზღვარ-გარედან.**

მოსკოვი. 10 ივლისი (რადიო). 2 დან 6 ივლისამდე შემოვიდა ესტონეთიდან 131 ვაგონი სასოფლო სამეურნეო მანქანების და იარაღებისა.

**საუბარი ამხ კრასინთან.**

მოსკოვი, 23 ივნისი (რადიო). გაზ. „პტი-პარიზიენ" აქვეყნებს საუბარს ამხ. კრასინთან ამ საუბარში განცხადებულია, რომ დღევანდლამდი დადებულია შემდეგი ხელშეკრულებანი: ინგლისთან 5 მილ. გირ., შვეციასთან 50 მილ. კრონისა, გერმანიასთან 3 მილიარდი მარკისა, ამერიკასთან 10 მილ. დოლარისა ამხ. კრასინი შემდეგ აცხადებს, რომ უცხოელ კაპიტალისტებს, რომელნიც მიდიან რუსეთში, უკვე ეს მით, რომ მუშაობას რუსეთში შეიძლება საფუძვლად ჰქონდეს მხოლოდ ხელშეკრულება საბჭოთა მთავრობასთან და რომ ამ ხელშეკრულებებიდან შეიძლება არა ნაკლები მოგების ნახვა, ვინემ ომის წინანდელი წარმოებებიდან.

დასასრულ ამხ. კრასინმა სთქვა ცნობად რომ დღევანდლამდე რუსეთის მთავრობამ გასცა მხოლოდ ერთი კონცესია ფირმას „სვენსკა კულაგერ ფაბრიკ".

## კაპიტალიზმის სამეფოებში.

### ინგლისი.

**ძვირფასი მეგობრები.**

მოსკოვი, 12 ივლისი. (რადიო). რუსეთის თეთრგვარდიელების დასახმარებლად ინგლისმა დახარჯა თანახმად ინგლისის პარლამენტში შეტანილი განცხადებისა 57.135,000 გირვ. სტერლინგი. ამ ხარჯში შედის სამხედრო-საზღვაო ოპერაციების და ლტოლვილებზე დახარჯული ფულები.

**ინგლისის მუშები ლოიდ ჯორჯის წინააღმდეგნი არიან.**

ლონდონი. 12 ივლისი (რადიო). ინგლისის მუშათა პარტიის ბრაიტონის კონფერენციაზე გამოსულმა ორატორებმა ლოიდ ჯორჯის პოლიტიკა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს. მუშები აღნიშნავდნენ, რომ ანტანტას სურს თავისი ეკონომიური გავლენით დიდი ხნით დაასუსტოს საშუალო ევროპა. მთელი უაზრობა მოკავშირეთა პოლიტიკის გამოიხატება იმ ანაზღაურების პირობებში, რომელიც გერმანიას თავს მოახვიეს. ამ საბედისწერო პოლიტიკამ გაუარესა მუშათა ეკონომიური მდგომარეობა ინგლისში და სხვა ქვეყნებში და გააძლიერა უმუშევრობა. რომელიც განსაკუთრებულ სიმწვავით მოედვა საზღვაო მრეწველობას.

### ირლანდია

**ირლანდიის ბრძოლა თავისუფლებისათვის.**

ლონდონი. 10 ივლისი (რადიო). უკანასკნელი კვირა ლუბლინში ჩატარდა მშვიდობიანათ; ამაზე გავლენა იქონია იმ მოლაპარაკებამ, რომელიც გამართულია ირლანდიის დასაწყნარებლად. საგრძნობლად შემცირდა ინგლისის ხელისუფლების წარმომადგენლებზე თავდასხმა. მიუხედავათ ამისა ირლანდიის ზოგიერთ სოფლებში გრძელდება მთავრობის ჯარების წინააღმდეგ გამოსვლები უკანასკნელ კვირის განმავლობაში მოჰკლეს 40 კაცი.

—

**რუსეთის მშრომელთა ქონების მითვისების განზრახვა.**

მოსკოვი, 12 ივლისი. (რადიო) ერთა ლიგა ცდილობს გაძარცვოს რუსეთის მშრომელები და გადასცეს ცარიზმის დროიდან დარჩენილი ღირებულებანი უცხოეთში გვარდიელ ემიგრანტებს, თავადებს, გენერლებს, მეფაბრიკანტებს, მემამულეებს, რომელნიც განდევნილნი არიან რუსეთიდან მშრომელთა მიერ და საზღვარგარეთ დან საფრთხეს უმზადებენ მშრომელთა ხელის უფლებას. საბჭოთა მთავრობამ ამის შესახებ პროტესტით მიმართა დასავლეთ-ევროპის და ამერიკის მთავრობებს.

## ქრონიკა

◆ **რედაქციისაგან.** ტექნიკური მიზეზების გამო, ჩვენი გაზეთი დღეს გამოდის ნახევარი ფორმატით.

◆ **სურსათის გადაზიდვა.** რკ. გზის უფროსმა საქ. რევკომის პრეზიდიუმს აუწყა, რომ მის მიერ გაცემულია სამხედრო ბრძანება რკინის გზის ლიანდაგზე, სასწრაფოთ გადმოტანილი იქნას ყველა ის ტვირთები, რომელნიც რკ. გზის სადგურებზე არის რკ. გზის სასურსათო კომიტეტის მისამართით. ტვირთები უკვე დაძრულია თფილისისაკენ. გარდა ამისა სპეციალური წარმომადგენელნი რკ. გზის გამგეობისა განუწყვეტლად თვალს ადევნებენ ტვირთის გადმოზიდვას.

◆ **ცენტრო-კავშირი.** ცენტროკავშირის ამიერ კავკასიის კანტორების სამმართველომ საქართ[ველოს] სურსათო სახალხო კომისარიატის განკარგულებით მაისისა და ივნისის განმავლობაში გადასცა 10 ვაგონი ბრინჯი და 3 ვაგონი თევზი. „ცენტრო-კავშირის" ბაქოს კანტორამ გადასცა ამ.-კავკასიის კანტორების სამმართველოს 2 ვაგონი სელდი, დანიშნული სასურსათო სახ. კომისარიატის საჭიროებისათვის, და 5 ვაგონი სელდი პირდაპირ საქართველოს რევკომის მისამართით. „ცენტროკავშირის" ამიერ-კავკასიის კანტორების სამმართველომ მჭიდრო ამხანაგური ურთიერთობა დაამყარა მთიელთა რესპუბლიკის, ყუბანის, დონის, ყაბარდინის და სომხეთის კოოპერატიულ ორგანიზაციებთან იმ მიზნით, რომ საქართველოში პური და სავალუტო ნედლი მასალა მოიტანინოს საქონელზე გადასაცვლელ ფონდის შესაქმნელათ.

◆ **ქიმიური ფაკულტეტი თბილისის პოლიტ. ინსტიტუტთან.** თბილისის პოლიტეხნიკუმთან მიმდინარე აკადემიური წლის შემოდგომის სემე-

[illegible] ...ხალხო ... კოკაშვილ... ...დის გამგ... ...ე ითათ კახეთს [illegible] მამულების დასათვალიერებლათ. ამხ. კოკაშვილის აქ არ ყოფნის დროს მიწათ მოქმედების კომისრის მოადგილის მოვალეობა დაეკისრა კოლეგიის წევრს აგრონომს ვ. ი. კანდელაკს, ხოლო საადგილ მამულო პოლიტიკის განყოფილების გამგეს დაეკისრა კოლეგიის წევრის მოვალეობა.

◆ **ტრამვაი.** განახლდა ტრამვაის ვაგონების მოძრაობა. ჯერ მოქმედებს ორი ხაზი: თავისუფლების (ერევნის) მოედანი - წყნეთის ქ. და თავისუფლების მოედანი—მახეილის ქ. სადგური. პირველ ხაზზე მოძრაობაა 3 მატორიანი ვაგონი 8 მისაბმელი ვაგონებით, ხოლო მეორეზე—10 მატორიანი ვაგონი მისაბმელით.

## მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

**ბრძანება.**

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსი.

11 ივლისის 1921 წელი.

1. ყველა სამრეწველო წარმოებანი, ვისაც ის არ უნდა ეკუთნოდეს და ვის გამგებლობაშიაც არ იყვეს თავიანთ გამგეების, ფაბზავკომების და მფლობელების საშუალებით მოვალეი არიან სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სტატისტიკურ ეკონომიურ განყოფილებას მათ მიერ, მათი მოღვაწეობის და მთელი ქონების მდგომარეობის გამოსარკვევათ მიაწოდონ საჭირო ცნობები.

2. ეს წარმოებანი და პირნი მოვალენი არიან პერიოდიულათ თვეში ორჯერ წარადგინონ თავიანთ მუშაობის შესახებ ანგარიში, იმ სპეციალური ფორმით, რომელიც შემუშავებულია სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სტატისტიკურ ეკონომიურ განყოფილების მიერ.

3. პირნი, რომელნიც ამ დადგენილებას დაარღვევენ, მიცემულნი იქნებიან პასუხის გებაში რევოლიუციონურ დროის კანონით.

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე მ. ტოროშელიძე.

საქმეთა მმართველი ე. მადისონი.

**ს. მ. უ. ს. მომარაგების საბჭოსაგან**

ს. ს. ს. რ. რევკომის 6 ამა ივლისის დეკრეტის თანახმად, ამით წინადადება ეძლევა ყველა პატრონებს ნავთის და კეროსინის აუზებისას 1000 ფუთზე მეტი საერთო მოცულობით, სამი დღის განმავლობაში აცნობონ თავისი საწყობები და წარმოადგინონ მომარაგების საბჭოს მასალის განყოფილებაში (სასახლის ქ, 6) ინვენტარის დაწვრილებითი აღწერილობა და საწყობების შესახები წიგნები და დოკუმენტები.

ს. მ უ. ს. მომარაგების საბჭოს თავმჯდომარე ფანიევი სათბობი მასალის განყოფილების გამგე ბორკოვი.

**სარედაქციო კოლეგია.**

## განცხადებანი

**პარტიული**

დღეს საღამოს 6 საათზე არტისტულ საზოგადოების საკონცერტო დარბაზში შესდგება მე 4 რაიონის საერთო კრება დღის წესრიგი: 1) თანამედროვე კოოპერაციის პრაქტიკული ამოცანები (ამხ. რაბინოვიჩი). 2) საკლუბო კომისიის მოხსენება. 3) წევრების დამტკიცება. ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება აუცილებელია.

— პარასკევს 15 ივლისს დღის 4 საათზე ს. ქ. პ. მე 4 რაიკომის ბინაზე მოხდება შაბათობის მე 4 რაიონის ორგანიზატორთა თათბირი. დასწრება ყველა ამხანაგებისათვის სავალდებულოა

— შაბათს, 16 ივლ. შესდგება პირველი და მე-4 რაიონების და ახალგაზრდების კომკავშირის მორიგი შაბათობა. მუშაობა იწარმოებს რკინის გზაზე და ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატში. წევრები უნდა გამოცხადდნენ დღის პირველ საათზე მე-4 რაიკომის ბინაზე (ოლღას ქ. № 29) სამუშაოზე წავლენ 2 საათზე. შაბათობის შემდეგ მონაწილენი მიიღებენ სა[illegible] რო[ციო]ნებს.

საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სტამბა კრუზენშტერნის ქ., № 4.